საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

27 მარტი 2024 წელი

სხდომის ოქმი N2

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე: ბექა მორჩილაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნიკა კორშია
სანდრო ქუშაშვილი
შალვა სარდალიშვილი
თორნიკე ხარჩილავა
არჩილ ხულორდავა
ლაშა რუხაია
ზვიად მიმინოშვილი

მოწვეული სტუმრები:
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი- ირაკლი ლეჟავა

მოქალაქე სალომე ბაღათურია

დღის წესრიგის პროექტში წარმოდგენილია შემდეგი საკითხი:

1. **განკარგულების პროექტი** „გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ მცირე გრანტების პროგრამის (SGP) ფარგლებში დაფინანსებული „მერების შეთაქნხმებას მუნიციპალიტეტში მზის ენერგიით უზრუნველყოფილი მდგარადი ურბანული ინფრასტრუქტურის მოწყობის“ პროექტის განხორციელების თაობაზე“
2. **განკარგულების პროექტი** - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი 2024 წლის 26 მარტის პეტიციის შესახებ“

მოისმინეს: განკარგულების პროექტი „გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ მცირე გრანტების პროგრამის (SGP) ფარგლებში დაფინანსებული „მერების შეთაქნხმებას მუნიციპალიტეტში მზის ენერგიით

უზრუნველყოფილი მდგარადი ურბანული ინფრასტრუქტურის მოწყობის“ პროექტის განხორციელების თაობაზე“

აზრი გამოთქვეს: ბექა მორჩილაძემ, სანდრო ქუშაშვილმა და არჩილ ხულორდავამ

დაადგინეს: კომისია ეთანხმება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

მომხრე - 8 **წინააღმდეგი - 0**

მოისმინეს: მოქალაქე სალომე ბაღათურიას მოსაზრება პეტიციით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ნაბადის უბანში ალტერნატიული შემოვლითი გზის მშენებლობის შესახებ
კომისიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი 2024 წლის 26 მარტის პეტიციის შესახებ“

აზრი გამოთქვეს: ბექა მორჩილაძემ, ზვიად მიმინოშვილმა, ნიკა კორშიამ და შალვა სარდალიშვილმა

დაადგინეს:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი 2024 წლის 26 მარტის პეტიცია (პეტიციის წარმდგენი: ელისო ჯანაშია, მცხოვრები: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, ბარათაშვილის ქუჩა N 37-ში), დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. პეტიციის შესაბამისად, მიზანშეწონილია საერთო სარგებლობის საავტომობილო გზის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, ნაბადის უბანში, შემოვლითი გზის პროექტირების, მშენებლობის დაფინანსება, მშენებლობის განხორციელება ეთხოვოს სახელმწიფოს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ/მერმა წერილები, გაუგზავნოს შესაბამის სამინისტროებს/უწყებებს და გაატაროს ღონისძიებები.
3. პეტიციის წარმდგენებს უარი ეთქვათ საკონტეინერო მოსაკრებლიდან შემოსული თანხებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, ნაბადის უბანში, შემოვლითი გზის პროექტირების, მშენებლობის დაფინანსებაზე, ვინაიდან, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია საკონტეინერო მოსაკრებლიდან შემოსული თანხებით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება (მათ შორის მძიმეწონიანი სატრანსპორტო საშუალებების ავტოსადგომის მშენებლობა-კოკაიას ხეივანზე ტირ-პარკის მოწყობა და სხვა).
4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა, მერიამ აღნიშნულ განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

5. აღნიშნული განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას.

მომხრე - 8 **წინააღმდეგი -0**

კომისიის თავმჯდომარე ბ. მ. ბექა მორჩილაძე